

გაზეთი ზეჟნიას „ვერსია“ ერთი

# ვერსია

ფასი 60 თეთრი



ორშაბათი

ოთხშაბათი

პარასკევი

№94 (1120) 25 - 27 სექტემბერი, 2015 წელი

„ვერსია“ სამძიმარს უცხადებს ავღანეთში, „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიის შესრულების დროს ქართველი სამხედრო მოსამსახურის, საქართველოს შეიარაღებული ძალების IV მექანიზირებული ბრიგადის 43-ე ბატალიონის პირველი კლასის რიგითის, ვასილ გელას-კე ყულჯანიშვილის ოჯახსა და სრულიად საქართველოს



## 27.09.93 – სოხუმის დათმობის დღე



გვ. 5-6-7

### ომი, რომელმაც 15000 ქართველი შეიწირა

„სანამ ის თაობა ცოცხალია, რომელმაც თავის თავზე განიცადა რუსული ტყვიის სიმწარე, რუსეთი საქართველოში ვერ შემოტრიალდება!“

საქართველოს თავდაცვის მინისტრი



### PR-კარგისელი

კაცი, რომელმაც საქართველოს საინფორმაციო ომი მოამზადა



**„თუ გუნდში არაფერი შეიშვლება, „ოცნებას“ ღავტოვებ“**

რას ითხოვს გედევან ფოფხაძე ხედისუფლებისგან და რაფომ ედის წაფიონადებისგან რევიოლეფიას

**ვინ იყილის „ჯაოსელს“ – „თურქსელი“, „გაბთი“ თუ რინური „კუავეი“?**

რაფომ ცოვებს საქართველოს ბაზარს „თედისონერა“

**„გელავეიზიით რომ გაგორინლა, ან ნაფი უნლა იყო, ან ქოფი... ან მანსარა“**

რაფომ გაუერნეს იმედი ფიქრია ჩინრადეს ბვიად ძიძიგურნმა, ფორუმმა, რესპუბლიკედებმა...

# აფხაზეთის ომის ვაჟბავები 27 სექტემბერს საქართველოს რიგით მესამე საფეხურით ჩემპიონატს გამართავენ



წინმო კომპანიამ  
599-95-33-16

„27 სექტემბერს, აფხაზეთის დროებით დათმობის დღეს, 11 საათზე, გლდანის სპორტული კომპლექსის ხელოვნურსაფარიან მოედანზე, „ამპუტანტ ფეხბურთელთა ლიგა“ საქართველოს რიგით მესამე ჩემპიონატს გამართავს“ — ასე აანონსებენ ამ მოვლენას თავად ჩემპიონატის მონაწილეები, რომელთათვის სოხუმის დაცემის დღე, 27 სექტემბერი „დროებითი დათმობის“ დღეა, ერთი სიცოცხლე კი — არასაკმარისი. მეორე სიცოცხლე აფხაზეთის ომის ვეტერანებმა ერთმანეთს 2-3 წლის წინ შთაბერეს, როცა შეზღუდული შესაძლებლობის 80-ზე მეტი პირი შეიკრიბა და მათ ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო. საქმე ეხება აფხაზეთის ომის მონაწილე მეომრებს, რომელთა ნახევარზე მეტს ფიზიკური და ფსიქოლოგიური პრობლემები, ალკოჰოლდამოკიდებულება აწუხებდა, ვიდრე ერთ დასკვნამდე არ მივიდნენ — გაემარჯვათ საკუთარ თავზე და სპორტული ცხოვრება დაეწყათ.

„ვერსია“ ჩემპიონატის მონაწილესა და ერთ-ერთ ორგანიზატორს, ბაჩო ფიფინას ესაუბრა, რომელმაც რამდენიმე საინტერესო დეტალს შესახებაც გვიამბო და ჩემპიონატზეც დაგვპატიჟა: „დღეს ყველა ის ადამიანი, ვისაც წლების განმავლობაში ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური პრობლემები ტანჯავდა, ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრობს. მათ ოჯახებში მიმდინარე დაისადგურა, სპორტული ინტერესიც

გაუჩნდათ და ერთმანეთს უკვე პირველობის მოსაპოვებლად ეჯიბრებიან. ვფიქრობთ, დიდი საქმე გაკეთდა, თუმცა ხელისუფლება თანამშრომლობაზე ბოლომდე ვერ დავიყოლიეთ. ზოგიერთ რაიონში ეს საქმე დაფინანსდა, ზოგან — არა. სხვათა შორის, შარშან, მსოფლიო თასზე გავდიოდით, მაგრამ მინისტრმა ყიფიანმა 40 000-ით არ დაგვაფინანსა, ფული არ გვაქვსო. არადა, დიდი შანსი გავუშვით ხელიდან, რადგან მსოფლიო კონგრესიც უნდა გამართულიყო, სადაც ერთ-ერთ საკითხად არასახარბიელო ფინანსური რესურსის მქონე ქვეყნების საფეხბურთო გუნდების დაფინანსების საკითხი განიხილებოდა. არადა, რაკი ეს საქმე დაიწყეთ, ახლა გვინდა, ცოტა განვვითარდეთ. პოპულარიზაციის პრობლემაც გვაქვს. რომ იცოდეთ, ჩემპიონატის მონაწილეთა 60% ვეტერანი ინვალიდია და უნდა ნახოთ, რა ლამაზ ფეხბურთს თამაშობენ!“

ისე, სხვათა შორის, ეს ადამიანები ფეხბურთის ფედერაციას პოტენციურ დასჭირდება, რადგან ისინი ფედერაციის წევრებიც არიან და ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში ხმის უფლებითაც სარგებლობენ. თუმცა, როცა დახმარება „ამპუტანტ ფეხბურთელთა ლიგას“ დასჭირდა, ზოგიერთ მუნიციპალიტეტში, მაგალითად, ქუთაისსა და ზესტაფონში გუნდების შენახვისთვის ელემენტარული თანხა ვერ გამოიყო. ამჟამად, ქვეყნის მასშტაბით, სულ 6 გუნდი თამაშობს: ზესტაფონი, ზუგდიდი, ბათუმი, გორი, თბილისი და აფხაზეთი... ბაჩო ფიფინას, რომელიც გორის გუნდს წარმოადგენს, უკეთესი იმედი აქვს: „მართალია, ზოგან გუნდების დაფინანსებას ვერ მივაღწიეთ, რადგან ნაომარ ხალხს არაკეთილსინდისიერი ჩინოვნიკები უარს ეუბნებიან, თუმცა ნელ-ნელა, მაგრამ მყარად მივიწვევთ წინ — ჩვენთვის ეს პროცესი იგივე აფხაზეთი და სამაჩაბლოა“.

## ვესნიანიუსი

### „საპარტნიორო ფონდს“ დავით საგანელიძე უხელმძღვანელებს



„საპარტნიორო ფონდს“ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი, დეპუტატი დავით საგანელიძე უხელმძღვანელებს. იგი ახალ თანამდებობაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა მთავრობის ადმინისტრაციაში წარადგინა.

„საპარტნიორო ფონდის“ ყოფილი ხელმძღვანელი ირაკლი კოვზანაძე, ეროვნული ბანკიდან გამოყოფილი საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს თავმჯდომარის პოსტზე, რამდენიმე დღის წინ დამტკიცდა, რის შემდეგაც „საპარტნიორო ფონდის“ თავმჯდომარის პოსტი ვაკანტური გახდა.

სს „საპარტნიორო ფონდი“ არის სახელმწიფო საინვესტიციო ფონდი, რომელიც 2011 წელს დაარსდა. „საპარტნიორო ფონდი“ სატრანსპორტო, ენერჯეტიკისა და ინფრასტრუქტურის სფეროში არსებული მსხვილი სახელმწიფო საწარმოების

კონსოლიდაციის ბაზაზე შეიქმნა. ფონდის მთავარი დანიშნულებაა საინვესტიციო პროექტების განვითარების საწყის ეტაპზე თანამონაწილეობის გზით საქართველოში ინვესტიციების წახალისება.

პარლამენტში დავით საგანელიძის ადგილმონაცვლე ედიშერ თოლორაიაა, რომელმაც დეპუტატობაზე უარი უკვე განაცხადა. შესაბამისად, მომდევნო კანდიდატი ვლადიმერ აჩბაა.

### ნარსულში სამჯარ ნასამართლევამ და განზრახ

### მკვლელობისთვის კიბნისა პირამ დაკავებისას თაჰი მოიკლა

შს-ს თანამშრომლებს განზრახ მკვლელობისთვის ძებნილმა ს. ბ-მ დაკავებისას შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია, ცეცხლი გაუხსნა, შემდეგ კი თაჰი მოიკლა.

ნარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის სამჯერ, მათ შორის, განზრახ მკვლელობისთვის ნასამართლევმა, 1983 წელს დაბადებული ს. ბ-მ 2014 წელს თეთრინყაროს რაიონის სოფელ დრეში, ურთიერთშელაპარაკებისას, ახალგაზრდა მამაკაცი ცივი იარაღით მოკლა და შემთხვევის ადგილიდან მიიშალა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ს. ბ. შს-ს ქვემო ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს მიერ 2014 წლიდან განზრახ მკვლელობისთვის იძებნებოდა.

დაკავებისას ს. ბ-მ თეთრინყაროს რაიონში, სამართალდამცველებს „აკაესის“ მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისა და „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტის გამოყენებით შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია. ძებნილი არ დაემორჩილა მათ კანონიერ მოთხოვნას, დაეყარა იარაღი და ჩაბარებოდა. ს. ბ-მ მის ხელთ არსებული ცეცხლსასროლი იარაღით თაჰის არეში თვითდაზიანება მიიყენა, რის შედეგადაც ადგილზე გარდაიცვალა.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს. საქმეს ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურა იძიებს.



„პირველი“



### ქართველმა ჯარისკაცებმა ავღანეთში დაღუპულ პასილ ყულჯანიშვილს უკანასკნელი სურვილი აუსრულეს

ავღანეთში, „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიის შესრულების დროს ქართველი სამხედრო მოსამსახურე, საქართველოს შეიარაღებული ძალების IV მექანიზირებული ბრიგადის 43-ე ბატალიონის პირველი კლასის რიგითი, ვასილ გელას-ძე ყულჯანიშვილი დაიღუპა.

პირველი კლასის რიგითი ვასილ ყულჯანიშვილი (08.08.1994) საქართველოს შეიარაღებული ძალების IV მექანიზირებული ბრიგადის 43-ე ბატალიონში 2013 წლიდან მსახურობდა. თავდაცვის სამინისტრო სრულად აანაზღაურებს ავღანეთში დაღუპული ჯარისკაცის დაკრძალვის ხარჯებს, ოჯახი კი კანონმდებლობით განსაზღვრულ დახმარებას მიიღებს. პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა, უკვე დაავალა ფინანსთა სამინისტროს, ოჯახს კანონით განსაზღვრული 100 ათასი ლარი გამოუყოფს. მთავრობის მეთაურმა, ჯარისკაცის ოჯახს, პირადად მიუსამძიმრა: „ვუსამძიმრებ შეიარაღებულ ძალებს და მთელ საქართველოს, ჩვენს ერს, ვინაიდან, ვასილი არის ჩვენი გმირი ჯარისკაცი, რომელიც გმირულად დაიღუპა ავღანეთში. კიდევ ერთხელ, ქედს ვიხრი მისი სულის წინაშე“.

ოჯახმა თავდაცვის მინისტრ თინათინ ხიდაშელისა და აშშ-ს ელჩის სამძიმრებიც მიიღო. იალ კენის განცხადებით: „რიგითი ყულჯანიშვილისა და დაშავებულ სერჟანტ როსტომაიას სიმამაცე და მსხვერპლი საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდასაჭერად იმ ქართველი ჯარისკაცების გმირობისა და სიმამაცის სიმბოლური გამოხატულებაა, რომლებიც თავისი მეგობრებისა და ძმების — ამერიკელი საზღვაო ქვეითებისა და ავღანეთის სამთავრობო ძალების მხარდასმარ იბრძვიან. ესაა ბრძოლა ჩვენი საერთო ღირებულებებისთვის. რიგითი ყულჯანიშვილის ხსოვნისადმი პატივისცემის ნიშნად, ჩემი განკარგულებით, აშშ-ს საელჩოს დროშა 24 საათის განმავლობაში დაშვებული იქნება“.

თავდაცვის სამინისტრომ გაავრცელა ემოციური ვიდეომასალა, სადაც ასახულია, როგორ გამოემშვიდობნენ დაღუპულ თანამებრძოლს ქართველი ჯარისკაცები. „ჩვენ, ოცულში დავენერეთ ტრადიცია, ვასილის ადგილი იქნება მუდმივად დაკავებული“, — განაცხადეს ჯარისკაცებმა და დაღუპულის სანოლზე, საქართველოს დროშა გაშალეს, იქვე დადეს, ჯარისკაცის ქუდი. თანამებრძოლები აცხადებენ, რომ ამ ტრადიციას, საქართველოშიც გააგრძელებენ, რადგან ვასილ ყულჯანიშვილი მუდამ ემასხოვრებათ.

„ამაყი, გაბედული, საქმისმოყვარე ჯარისკაცი იყო ჩვენი ვასილი. ის ყოველთვის ჩვენ გულში იქნება. ჩვენი თმობილმარა ძმა, ჩვენი სმიალა... სულ იცინავდა. ძალიან მთლიანად იყავი იყო. უშიშარი, გამბედავი... თავის საქმეს ყოველთვის იდეალურად აკეთებდა. გმირი იყო და გმირულად დაეცა“, — ასეთად დარჩა მეგობრების ხსოვნაში ვასილ ყულჯანიშვილი. იმ მეგობრებისა, რომლებიც ამბობენ, რომ მის გარდაცვალებას ვერ ეგუებიან და ზოგჯერ, არც ჰქონიათ, რომ ეს ტრაგედია, ნამდვილად მოხდა. ჯარისკაცებმა, გარდაცვლილს, უკანასკნელი სურვილიც აუსრულეს — წრეში ჩამდგარმა ოცულმა, საქართველოს დროშა, ქართველი მორაგბეების მხარდასაჭერად ააფრიალა და მათ გასამხენებლად პატარა ვიდეორგოლიც გადაიღო.

„ვესნიანიუსი“

### 2016 წელს სამხედრო ძალების რაოდენობა უზველი დარჩება

უშიშროების საბჭოს მდივნის, ირინა იმერლიშვილის განცხადებით, პარლამენტს განსახილველად, სამხედრო ძალების იგივე რაოდენობის დოკუმენტი გადაეგზავნება: „უშიშროების საბჭოს სხდომაზე დეტალურად განვიხილეთ საფრთხეების დოკუმენტი და ყველა სცენარი გავიარეთ. ეს დოკუმენტი საიდუმლო სახითაა და ის სამი წლით არის განსაზღვრული, 2015-2018 წლის ვადით“.

ირინა იმერლიშვილმა ისიც აღნიშნა, რომ სამხედრო ძალების რაოდენობის დამტკიცების თაობაზე კვორუმი პროცედურულად 2/3 არის განსაზღვრული: „უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით, სამხედრო ძალების იგივე რაოდენობა იქნება პარლამენტში გადაგზავნილი. მე, როგორც უშიშროების საბჭოს მდივანს, ამ გადაწყვეტილების პროცედურულად გაფორმება დამევალა და როდესაც მას 8 წევრი მოაწერს ხელს, დოკუმენტი პარლამენტს მაშინ გადაეგზავნება“.

„პირველი“





# 1993 წლის 27 სექტემბერი, სოხუმის დათმობის დღე



27 სექტემბერი სოხუმის დათმობის დღეა. დროებით დათმობის დღე... სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, დღესაც ბევრს ჰგონია, რომ აფხაზეთის ომი 1992 წელს დაიწყო. ისტორიკოსობა ან პოლიტოლოგობა არაა საჭირო, მიხედვით, რომ ომი რუსეთთან დიდი ხნით ადრე დაიწყო მაშინ, როცა იყო პირველი მცდელობა, აფხაზეთში, ოჯახებში რუსულად ესაუბრა, სოხუმის ქუჩებში რუსული აბრევირები გაეკრათ... 1992-93 წლების ომი იმ საინფორმაციო ომის გაგრძელება იყო, რომელსაც რუსეთი აფხაზეთში მანამდე წლების განმავლობაში, ეტაპობრივად და მოთმინებით აწარმოებდა. საინფორმაციო ომი, უმეტესად, წყვეტს კონკრეტული ბრძოლის ბედს და ეს მსოფლიოს უახლესმა ისტორიამაც გვაჩვენა. სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ამგვარ ომში ხშირად რჩებოდა წაგებული... სწორედ ამიტომ, სოხუმის დათმობის დღესთან დაკავშირებით, გადავწყვიტეთ, შემოგთავაზოთ ინტერვიუ პატრიკ უორმთან, ადამიანთან, რომელმაც 2008 წელს საქართველოს საინფორმაციო ომი მოამზადა და რომელსაც რუსები „საქართველოს მთავარ ჯარისკაცს“ უწოდებდნენ. ექსკლუზიური ინტერვიუს, რომელიც ვერსიის №100 (27-28 აგვისტო, 2008 წელი) ნომერში დაიბეჭდა, მცირე შემოკლებით, იმ იმედით ვიმეორებთ, რომ ბევრ რამეს ვისწავლით საინფორმაციო ომის წარმოების შესახებ. ეს კი ქვეყნისთვის, რომლის ტერიტორიებიც დღემდე ოკუპირებულია და რომლისთვისაც აფხაზეთი და სამაჩაბლო დღემდე ტყვილიად რჩება, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

## PR-კარდინალი

კაცი, რომელმაც საქართველოს საინფორმაციო ომი მოამზადა

მოთარქმეობს, სპეციალურად „ვერსიისთვის“

ეს არ არის ინტერვიუ, რესპოდენტთან მისვლამდე ბევრი ვიფიქრე და ჩავთვალე, რომ საჭიროა დიალოგი. მეტიც, კამათის აუცილებლობა საუბარამაც გამოაჩინა. პატრიკ უორმი, კომპანია „ასპექტ კონსალტინგის“ თანამშრომელია. კომპანია საქართველოს მთავრობამ 2007 წლის დეკემბრიდან დაიქირავა. როგორც ყველა სხვა კონტრაქტორს, იგი საქართველოსაც გარეკუთმაცხადის მართვასა და პოლიტიკური კომუნიკაციის უზრუნველყოფაში ეხმარება. ანუ პატრიკი არის ადამიანი, რომელმაც მართა და დღესაც მართავს საინფორმაციო ომს — ნამდვილი ომის კიდევ ერთ ფრონტის ხაზს... არცთუ დიდი ხნის წინ, ევროკომისიაში გარემოს დაცვით საკითხებზე მუშაობდა, დღეს საქართველოს რეკონსტრუქციის დაცვა უწევს. რუსებს იგი არ მოსწონთ და „საქართველოს მთავარ ჯარისკაცს“ უწოდებენ. რამდენიმე საინფორმაციო ბიულეტენში იმასაც ამბობენ ტრადიციული იუმორით, რომ პატრიკის გვარი WORM — ინგლისურიდან თარგმანში, ქართულად ჭიანჭველას ნიშნავს. რუსული ცინიზმი და შოკინიზმი კი, შეიძლება ითქვას, საქართველოს ძალიან წაადგა. შეიძლება რუსული ტრიბუნებიდან ნატყორცილი ფრაზები მტკიცე იყოს, მაგრამ სასარგებლო. სასარგებლო საქართველოსთვის, რადგან ყოველი ამ ფრაზის იარაღად გამოყენება ძალიან მარტივია და თუ მას მართებულად მოიხმარ, საზოგადოებრივ ცნობიერებას ზუსტად ისე მომართავ, როგორც გსურს. ამ სფეროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სახელით ვიცნობთ, შემოკლებით პიარი (PR) და მისი გულიდან მოვლენები სხვაგვარად ჩანს. რუსული ოკუპაციის პიაროპის ფრონტიდან, მკითხველი ბევრს გაიგებს და ისწავლის.



### პატრიკ უორმი: „კრემლი ჩემი გუნდის არჩვეულებრივი წევრია, შედომას შეეცდებით, ცვლის და საქმეს მიმარცხებს“

— დეკემბერში ჩამოვედი. ზაფხულში მეგობარ გოგონასა და ვაჟთან ერთად, საქართველოს შემოვლას ვაპირებდი. გეგმაში იყო ბორჯომი, თუშეთი, ზღვა და შემოდგომით კახეთი. არ გამოვიდა, თანამგზავრები ბრიუსელში დავაბრუნე, თავად კი ომში ჩავერთე. შესაბამისად, დროებით შეიცვალა ის პიარგეგმაც, რაც საქართველოსთან მიმართებაში იყო ამუშავებული.

— ბუნებრივია, ომის შედეგები, პოლიტიკური და დიპლომატიური საკითხები გაცილებით მნიშვნელოვანია, მაგრამ რადგან წარსულში აქტიური გარემოს დამცველი ყოფილხართ, გადამწვარი ბორჯომის ტყეებით დაინწყით...

— 500 ჰა-ს გადაწვა არ გახლავთ შოკისმომგვრელად გამოგნებული, ამაზე გაცილებით მეტი ინფის ყოველწლიურად ესპანეთში, იტალიაში, საბერძნეთსა და კალიფორნიაში. ახლა რომ ძველ სამსახურში ვიყო, აუცილებლად მეტ ყურადღებას ტყის სხვა საფრთხეზე გავამახვილებდი — ჩეხვა. ტყის ჩეხვა მოკლევადიან გეგმაზე გათვლილი „საქმეა“, რაც საფრთხეს უქმნის გრძელვადიან მოგებას — ტურიზმს. ეს პრობლემა ბევრგანაა, მაგრამ საქართველომ განსაკუთრებით უნდა მიაქციოს ყურადღება, რადგან ტურიზმი მისი ერთ-ერთი სავიზიტო ბარათი უნდა გახდეს. საქართველო ძალიან პატარა ქვეყანაა, მაგრამ, მისი ბიომრავალფეროვნება ორჯერ აღემატება ნებისმიერი ევროპული ქვეყნისას და სწორედ ესაა მისი უნიკალობა.

— დაუბრუნდეთ ჩვენი საუბრის მთავარ თემას, როგორც ვიცო, პრეზიდენტის პიარზე მუშაობთ.

— საქართველოს მთავრობაზე... ჩემი უპირველესი მოვალეობაა მსოფლიოს, განსაკუთრებით ევროპას დაგანახო, რომ საქართველო შესანიშნავი, ლამაზი და მზარდი ევროპული ქვეყანაა. თუ აქ მოხვდები, აუცილებლად გიყვარს, მაგრამ ეს რომ მოხდეს, უნდა იცოდეთ, რომ საქართველო არსებობს. შარშან საქართველოს 170 000 ტურისტი ეწვია, რაც 7-მილიარდიანი პლანეტის გათვალისწინებით, არაფერია. ეს ნიშნავს, რომ საქართველოს შესახებ ძალიან ცოტამ იცის. მეორე ვალდებულება — ქართველ მეგობრებს გავაგებინო, რომ საქართველო ძალიან პატარა ქვეყანაა და ყველა მიზნის მიღწევა ძალიან ძნელია, რომ ის, რაც საქართველოსთვის მნიშვნელოვანია, მსოფლიოსთვის არ არის განსაკუთრებული. ამის გათვალისწინება სამოქმედო გეგმის დასახვისას აუცილებელია.

— რატომ, ბოლო წლებში საქართველოს ყურადღება არ მოსკვდება?

— გეთანხმებით, მაგრამ ეს საინფორმაციო და პოლიტიკური თვალსაზრისით გახლავთ ასე. მოდით, უბრალო ევროპელის დონეზე ვისაუბროთ. ავიღოთ გერმანია — მისი საფიქრალია სამსახური, ხელფასი, ბავშვისთვის სასწავლებ-

ლის მოძებნა, ყოველწლიურად დასვენება, ჯანმრთელობაზე ზრუნვა... ვერ ვიტყვი, რომ გერმანიაში გაზრდილებს არ კითხულობენ, მაგრამ გამოკითხვებით ჩანს, რომ ამ ქვეყნის მხოლოდ 10-15% უყურებს საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებას. მოსახლეობის უმრავლესობამ არ იცის, ვინ არის, რატომ გადადგა მუშარაფი და საერთოდ, რომელ ქვეყანაზეა საუბარი. არადა, ბოლო 10 წელია, პალესტინა ერთ-ერთი ყველაზე ცხელი წერტილია და საინფორმაციოების მუდმივი მთავარი თემა გახლავთ, ხალხს კი მაინც არ აინტერესებს. როგორ ფიქრობთ, საქართველო დაინტერესებს? ჩემი სახლის ეზოში, ბელგიის დროშასთან ერთად, საქართველოს დროშაც მაქვს აღმართული. თავიდან მეზობლები და გამვლენები მეკითხებოდნენ, ეს რა ეშმაკის დროშაა, ეშმაკს ემსახურები? დღეს კი იქ ყველა იცის, რომ ეს არის საქართველოს სახელმწიფო დროშა. ჩემი გეგმა ამ დინამიკის შეცვლა. თბილისიდან ზუსტად იგივე პანორამა უნდა იმლედოდეს, რაც ნიუ-იორკიდან, ლონდონიდან, პეკინიდან... შეიძლება, ცოტა უხერხული მოსასმენია, მაგრამ ეს ომი „ოქროს შესაძლებლობაა“ ცნობიერების ამაღლების თვალსაზრისით.

— გასაგებია, რომ საქართველოს ამბებმა გადაფარა ყველაფერი, მაგრამ ცოტა ძვირი ხომ არ დაუჯდა საქართველოს?

— რას გულისხმობთ?

— დაღუპულ ადამიანებს, განადგურებულ ინფრასტრუქტურას.

— მართლაც ასეა, მაგრამ მოდით, მეორე მხრიდან შევხედოთ. ეს იყო ომი, ჩვეულებრივი ომი და მის კვალობაზე დანაკარგი არ არის მაღალი. რამდენადაც ვიცო, ოფიციალური მონაცემებით, 220 ადამიანი დაიღუპა. შესაძლოა, ეს რიცხვი გაიზარდოს კიდევ, ყოველი მათგანის სიცოცხლე ძალიან ძვირფასია, თუმცა გავიმეორებ, ომის კვალობაზე, დანაკარგი ძალიან მცირეა. რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, ის აღდგენადია, თანაც მარტივად.

— არ მინდა კონკრეტულად დავასახელო ნატო-ში განწვევანება ან რაიმე სხვა, მაგრამ გესახებათ თუ არა ახლო მომავალში ისეთი მოვლენა, რომელიც ქართველს ათქმევინებს, რომ ეს დანაკარგი ამაო არ ყოფილა, ან იქნებ უკვე მოხდა ასეთი რამ და ჯერ არ ვიცით?

— ხალხი ამას არასოდეს იტყვის, რადგან დაიღუპა 220 ადამიანი, დაიჭრა 2 000, სახლიდან გამოაძევეს 120 000, აქედან 60 000 შეიძლება დიდხანს ვერ დაუბრუნდეს კერას. ნეგატიური განწყობა ხალხში ძალიან დიდხანს იარსებებს, მაგრამ არსებობს პოლიტიკური და დიპლომატიური სიბრტყე, რომელიც მოვლენებს სხვაგვარად აფასებს.

— მაშინ დავაკონკრეტებ, შეიძლება თუ არა, ევროპულმა

ან ამერიკულმა ინტერვენციამ ამ საკითხში, ერთხელ და სამუდამოდ, გადაჭრას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის (მე ვიტყვოდი სამაჩაბლოს) პრობლემები ქართველთა სასარგებლოდ?

— შესაძლოა, მაგრამ მეეჭვება და ამის საბაზს ერთი უცნაური ფაქტი მაძლევს. ომამდეც და დღესაც ქართველები კითხულობენ — რატომ არ შეიძლება, აფხაზეთმა, ოსებმა და ქართველებმა ერთად ვიცხოვროთ? რატომ ჩაითრია პუტინმა, მედვედევმა და სააკაშვილმა ხალხი ომში? რატომ არ შეიძლება მშვიდობა იყოს და ეს მაშინ, როცა მეორე, სეპარატისტული მხარის ხალხი გამუდმებით გვიკვირებენ, რომ ეს შეუძლებელია. 90-იანების დასაწყისში რაც გვიქნეს, მას შემდეგ რა გავაერთიანებო.

— თუმცა ყველაზე მეტად საინფორმაციო ომის ამ კონკრეტულ ნაწილში ის მაფიქრებდა, რომ არავის გახსენებია რა უქნეს ქართველებს ისევ 1992 წელს?

— დიახ, ეს არის ომი და ომის დროს ყველაფერი ხდება. მივაცქიოთ ყურადღება, რომ ქართველებს აფხაზეთი და ოსეთი არ ეზიზღებათ, მათ კი პირიქით. ასე იყო ომამდე და შემდეგაც. რატომ?

— იმიტომ, რომ არსებობს გარეძალა, ტერიტორიული ინტერესი და მეტი არაფერი... თქვენი აზრით?

— ამასთან დაკავშირებით ერთი აზრი მაქვს მხოლოდ, საქართველომ აიჩინა პოლიტიკური განვითარების გზა. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა ვარდების რევოლუციის შემდეგ. გზები დაიგო, ადმინისტრაციული ერთეულები ამუშავდა, ინვესტიციებმა დაიწყო შემოდინება, სამუშაო ადგილები გაიზარდა, დენი, გაზი და წყალი არ წყდება, ცხოვრება ნორმალური კალაპოტისკენ მიდის, პოლიცია აღარ არის კორუმპირებული. ანუ, საქართველომ წარმატებას მიაღწია მაშინ, როცა კოკოითსა და ბალაფშს სხვა სოციალური ასაზრდოვებს. მათ არ ძალუძთ პოლიტიკური მიზნის მიღწევა. მათთვის ჰპერივით აუცილებელია არეული და უკონტროლო სიტუაცია, მხოლოდ ერთი რამით შეუძლიათ შეინარჩუნონ ძალაუფლება — შიშის თესვით.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# 27.09.93 — სოხუმის ღათიშის დღე

## მე-5 გვერდიდან

— მაგრამ ეს ხომ არ არის მათ მიერ მართული სტრატეგია, მათ გარედან ეხმარებიან...

— დიახ, მაგრამ დღემდე ორივე რეგიონი საომარი ზონაა, მმართველები არიან კოკოთი და ბალაფში. ისინი შორს არიან პოლიტიკისგან, მათ აწყობთ ომი და ანარქია. ბოლო ომი იყო მცდელობა, მთელი საქართველო ჩაეთრიათ ამ ორმოტრიალში და ქვეყანა საომარ ზონად ექციათ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საქართველომ მოიგო და მეტსაც მოიგებს, რადგან ქართველი კვლავ გამოთქვამს თანაცხოვრების, მშვიდობისა და განვითარების სურვილს, სხვები კი არა.

— რატომ გამძაფრდა ბოლო ხანებში მათი აგრესია, ბევრი ამბობს, რომ სოჭისთვის იყო ასე საჭირო?

— ბოლო პერიოდში საქართველომ დიდი ნაბიჯები გადადგა წინ და ნებისმიერი ასეთი ნაბიჯი მათ აგრესიასა და ზიზღზე პირდაპირპროპორციულად მოქმედებდა. საქართველოს ტერიტორიაზე გაცილებით მეტი ეთნიკური ოსი ცხოვრობს, ვიდრე სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, მათ კავშირი აქვთ ჩრდილო ოსეთში მცხოვრებ ნათესავებთან, ბუნებრივია, ყველა წარმატება მათთვის ცნობილი იყო, რაც გახლდათ სიგნალი, რომ „დროა, სიტუაცია აირიოს“!

— იმედია, რუსეთსაც გულისხმობთ?

— ბუნებრივია, მაგრამ ჯერ ისევ უბრალო მცხოვრების დონეზე ვისაუბროთ. დღეს ქართველ ახალგაზრდას აქვს შემდეგი საზრუნავი — განათლება, სამსახური, კარგი მანქანა, ხელფასი, დასვენება, განვითარება და ცივილიზებული მსოფლიოს წევრობა. რა არჩევანი აქვს ოს ახალგაზრდას? მხოლოდ სამი — იყოს კონტრაბანდისტი, შევიდეს მილიციაში და ამ გზით იბანდოს, ანდა დემარშის ნიადაგზე გაიქცეს სადმე. მესმის, პოლიტიკური ინტერესი ძლიერი იყო, მაგრამ ამ ტერიტორიაზე ხომ ასეთი ხალხი ცხოვრობს და სწორედ მან უნდა იცხოვროს? ამისხნით, რატომ უნდა უნდოდეს კორუფციასა და იარაღის უღარუნზე მომართულ ახალგაზრდას დემოკრატია ან ცივილიზაცია? სწორედ ეს გახლავთ ომის დაწყების ფუნდამენტური მომენტი.

— კი მაგრამ, ხომ შესაძლებელია, რუსეთმა დახარჯოს იქ ფული ვითარების შესაცვლელად. მილიარდები დახარჯეს ამ ომზე და ბიზნესი ამხელა ფულს ტყუილად არ გაიღებდა.

— ნებისმიერი ბიზნესმენი ფულს იმაში ხარჯავს, რასაც ისევ ფული მოაქვს, ამაში ბიზნესის ფული არ არის ჩადებული.

— ფაქტია, დღეს კრემლი მართავს ყველაზე ფულიან რუსულ ბიზნესს. ფული ბიზნესიდან მოდის.

— დიახ, კრემლიც მომართულია ბიზნესის მთავარ პრინციპზე, ფულის კეთებაზე, მაგრამ ეს ის კონკრეტული შემთხვევაა, როცა უფრო მეტი მოინდომა — გავლენა. არ დაგვავინცდეს პუტინის განცხადება ინაუგურაციის შემდეგ, მისი არჩევის შემდეგ შეიცვალა პიში, სსრკ-ს დაშლა კატასტროფად შეფასდა, ააფეთქეს საცხოვრებელი უბნები საკუთარ მიწაზე, ორჯერ დაიწყეს ომი ჩეჩნეთში და სრულიად განადგურეს. ეს ყველაფერი უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ ფულის კეთება. ამ კაცმა დაგვანახა, რომ მისთვის მთავარი ძალაუფლებაა და ამისთვის თუნდაც 1 მილიარდის დახარჯვა უღირს, მით უმეტეს, თუ 10 მილიარდი აქვს.

— ექსპერტები ამბობენ, რომ რუსეთი დეფოლტთან ახლოსაა და ამ ომმა ეს პროცესი დააჩქარა.

— რუსეთში, უამრავი ადამიანი ღელავს მოსალოდნელ ფინანსურ კრიზისზე. ამ ომმა ვითარება უფრო გააძაბა, მაგრამ ეს პუტინსა და მის გარემოცვას ნაკლებად ალღევს. მთავარია, ბიზნესს კვლავ ისინი აკონტროლებენ.

— ანუ მოსალოდნელია, რომ რუსეთი ფულის ნაკადს გაზრდის ოსეთსა და აფხაზეთში ეკონომიკური და სოციალური პროექტებისთვის?

— ამას სულ აკეთებდა და სწორედ რუსულმა ფულმა მოიყვანა ისინი ცოცხლები აქამდე. თუმცა, სხვადასხვა ვითარება, ოსეთს უფრო უჭირს, რადგან კონტრაბანდით ცხოვრობდა და ამის საშუალება აღარ აქვს, აფხაზეთში კი გაზაფხულზე სამშენებლო ბუმი დაიწყო.

— ვფიქრობ, ეს მხოლოდ კამპანიაა, გინახავთ აფხაზეთში ამენებული თუნდაც ერთი ახალი სასტუმრო?

— სავსეა გაზეთები რეკლამებით.

— რუსული მარკეტინგისა და პიარის დიდი ხანია აღარ გვჯერა.

— ოსეთისგან განსხვავებით, აფხაზეთში დასავლელი ჟურნალისტები თავისუფლად გადაადგილდებიან და თავადვე ხედავენ, რომ იქ ბიზნესი არსებობს.

— ეს რუსი ოლიგარქების ბიზნესია, რომელიც იურიდიულად უკანონობას ეფუძნება.

— არა, არიან ჩვეულებრივი რუსებიც, რომლებსაც სჯერათ, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილი ვერასოდეს გახდება და იქ ფულს აბანდებენ. რეალურად, ეს მხარე საფრანგეთის „ლაჟვარდოვან ნაპირზე“ უკეთესია და ვინ არ ჩადებს ამაში ფულს?

— ლუჟკოვს, მაგალითად, ე.წ. სტალინის სკვერი აქვს მითვისებული, რაც უკანონობაა და მე ამას ბიზნესად არ ვთვლი.

— ამ შემთხვევაში, დაგეთანხმებით.

— გკითხავთ, აქვს თუ არა საქართველოს ტერიტორიების დაბრუნების შანსი?

— უახლოესი 10 წლის განმავლობაში, არა. ხაზს ვუსვამ, ეს ჩემი, სუბიექტური აზრია. თუმცა მაქვს ხედვა, როგორ უნდა მოხდეს დაბრუნება: საქართველომ უნდა შეინარჩუნოს სტაბილურობა, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა და

ამ მიმართულებით იმუშაოს. საქართველო წინ წაინწევს და გამოკვეთილად მიუახლოვდება ევროსტანდარტებს, რაც აფხაზეთისა და ოსეთისთვის იქნება მიუწვდომელი. სწორედ ამ ვითარებაშია შესაძლებელი საქმის დაძვრა.

— თუ რუსეთი დაბანდებს თანხებს და დიდ ინტერესებს ჩადებს, მასაც შეუძლია აფხაზეთში ცხოვრების სტანდარტი აწიოს, მაშინ რატომღა იქნება საქართველო მათთვის მიმზიდველი?

— იქ არიან სეპარატისტები და ფორმირებები, რომელთაც არ სურთ და არ ესმით ასეთი განვითარების. მათი საქმე მხოლოდ იარაღი და ქაოსია, რაც ხალხს თავადვე მიიყვანს დასკვნამდე, რომ განვითარებული და მშვიდი საქართველო უკეთესია. რუსებმა ბევრჯერ დაუმტკიცეს მსოფლიოს, რომ მათი სურვილი და განვითარების ეს სწრაფვა გაცილებით დაბალი ხარისხისაა, ვიდრე ეს საქართველოში ხდება. უმნიშვნელოვანესია, რომ საქართველოს ხელისუფლებისა და რუსეთის მმართველების მსოფლმხედველობა განსხვავებულია. საქართველო გაცილებით უკეთეს გარემოს შექმნის, რამაც მას დასავლეთიც დაუხმარებდა, ამიტომაც არის ეს გზა სწორი.

— ბაქოშიც სწორედ ეს გზა აირჩია, საქართველომაც, მაგრამ რომ არ გვაცლიან? თქვენი აზრით, თუ არსებობდა შანსი, საქართველო ამ პროვოკაციას არ წამოგებოდა, რომელიც პერიოდულად, სულ არსებობს?

— ეს სულ არსებობდა და საქართველო ამ პროვოკაციაზე არ მიდიოდა. რაც შეეხება ბოლო შემთხვევას, არავითარი შანსი არ არსებობდა, რადგან ეს პროვოკაცია კი არა, იყო შემოჭრა და ოკუპაცია. ისტორია, თითქოს ომი ერთი ინციდენტის გამო დაიწყო, უკვე დადასტურდა, რომ ტყუილია. ყველაფერი გაცილებით ადრე და მიზანმიმართულად დაიწყო.

— საქართველოში საკმაოდ ბევრი ფიქრობს, რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნება მხოლოდ ომითაა შესაძლებელი და სხვა გზა არ არსებობს.

— თუ ასეთი გამოკითხვა არსებობდა და კითხვა ასე იყო დასმული „არის თუ არა ომი ერთადერთი შანსი“, ვერც ამ კითხვის ავტორს დავეთანხმები და ვერც მათ, ვინც უარყოფითად უპასუხა. საქართველოს ეს ომი საკმაოდ ძვირად დაუჯდა. ფინანსურადაც გაცილებით დიდ შედეგს მიიღებდა, ეს ფული რომ ეკონომიკის განვითარებაზე წასულიყო, მაგრამ ამას ხელს უშლიან. სხვათა შორის, ომის პირველ დღეებში, საკმაოდ ძლიერად იმუშავა რუსულმა მედიამ და საქართველოს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, სიმართლის დასამტკიცებლად. როცა საქართველომ განაცხადა, რომც მესროლო, მე არ ვისვრი, ეს საკმაოდ გაბედული და რთული ნაბიჯი იყო. სწორედ აქ მოიყო და შემობრუნდა ყველაფერი. დიახ, რუსული პროპაგანდის მანქანამ მიზანმიმართულად იმოქმედა. თავიდან შედეგებს მიაღწია, მაგრამ დაარღვია პიარის ოქროს წესი — სიმართლე! საქართველომ ცეცხლზე უარი თქვა, რუსეთმა კი მაინც განაგრძო საოკუპაციო ქმედებები... და მსოფლიომ ნათლად დაინახა, ვის რა უნდოდა. ეს იყო გადამწყვეტი მომენტი. აქედან გახდა აქტუალური ის თემა, რომ მზადება ამ ომისთვის რუსეთმა გასული წლის ზაფხულში დაიწყო ე.წ. სასწავლო-სამხედრო პროგრამებით, სეპარატისტებთან მოლაპარაკებებით...

— რამ უფრო შეგინცოთ ხელი შემობრუნებისკენ, თქვენმა ძალისხმევამ საქართველოსა და დასავლეთის თუ რუსეთის შედომებმა? საერთოდ, ამ გარდაცემის მომენტი რა ხდებოდა და თქვენ რას აკეთებდით კონკრეტულად?

— ჩემი პრინციპული მიდგომა ქართულ მხარესთან მუშაობისას ეყრდნობოდა მხოლოდ სიმართლეს. რუსული მხარის პიარი კი ტყუილს. შეიძლება დროებით მოატყუო ვიღაც, მაგრამ სიმართლე მაინც გამოჩნდება. ამის ნათელი მაგალითი იყო ბრალდება, თითქოს ქართველებმა ეთნიკური წმენდა განახორციელეს ცხინვალში. არადა, შიგ ცხინვალში ქართველებს არც უსვრიათ — მხოლოდ მის ჩრდილოეთით მდებარე სოფლებში. დიახ, პირველ დღეებში, გამუდმებით ისმოდა ბრალდება, ათასობით ოსი ამონყვიტა ქართულმა არმიამო, მაგრამ იქ შევიდა „ჰუმან რაით ვოჭი“ და საკუთარი თვალით ნახა, რაც ხდებოდა. მათ მოიარეს ყველა სოფელი ცხინვალსა და ჯავას შორის და ნახეს, რომ ყველა ქართული სოფელი მინასთან არის გასწორებული, ოსური კი არა. რას ნიშნავს ეს? ქართველებმა საკუთარი ხალხი დახოცეს და მტერი დაინდეს? სისულელე! ესაა არასწორი რუსული პროპაგანდა, ტყუილზე დაფუძნებული. იცით, რა უთხრეს ოსებმა ამ ორგანიზაციას? „ქართველი ჯარისკაცები მოვიდნენ, სახლი დაათვალიერეს, იარაღი ხომ არ არისო და გავიდნენ ყველანაირი სროლის, ბომბვისა და ძალის გამოყენების გარეშე“ — ეს მათ ანგარიშშიც წერია.

— ბოლო რამდენიმე დღეა, რუსებმა ტაქტიკა შეცვალეს და მედიასთან უფრო გახსნილი ურთიერთობა დაიწყეს. რა შანსები აქვთ?

— დიახ, შეცვალეს და მიხვდნენ, რომ მედიასთან თანამშრომლობა აუცილებელია. თუმცა ვერ შეცვალეს მთავარი — ტყუილი და დაუდასტურებელი ინფორმაცია. ლავროვი, ნოგოვიცინი, ივანოვი და სხვები, უკვე აქტიურად ჩანან კამერების წინ, მაგრამ რას ხედავთ? მხოლოდ ქარიზმას და ლანძღვას, ბრალდებებსა და დაუდასტურებელ ინფორმაციას. ეს ის შემთხვევაა, როცა შეცდომა აღიარეს, მაგრამ უარესი შეცდომით ჩაანაცვლეს.

— თავიდან დასავლურ პრესაშიც ამბობდნენ, ქართული მხარე ტყუილი. თავად ვნახე, რამდენიმე ექსპერტის ანალიტიკური შეფასება.

— ასეც იყო. პირველი ორი-სამი დღე, მედია იმასაც წერ-



# 27.09.93 — სოსხის ღათიშის დღე

და, ომობანა სააკაშვილმა დაიწყო, მაგრამ გადაამოწმეს, გაანალიზეს, ინფორმაცია მიიღეს და ვითარება შეიცვალა. ასეთი ფრაზები არცერთ გამოცემაში აღარ იბეჭდებოდა. ყველა მიუთითებს, რომ ეს იყო რუსეთში დაგეგმილი პროვოკაცია, ოკუპაცია. მსოფლიო მართლმადიდებელი არ გახლავთ, თანაც ცნობიერების დონე ამ ქვეყნის მიმართ ჯერ კიდევ დაბალია. სწორედ ეს გათვალა რუსულმა მანქანამ, თუმცა ზედინედ რამდენიმე შეცდომა დაუშვა. მაგალითად, კიდევ ერთ, ტაქტიკურ შეცდომაზე მოგახსენებთ — რუსებმა, „გასართობად“, კონფლიქტის ზონაში, რუსული ჯარის შემდეგ შეუშვეს ჩეჩნები, ყაბარდოელები, კაზაკები, ისინი ამზარზუნად იქცეოდნენ. რუსებმა კი ვერ გათვალეს, რომ ამ ზონებში დასავლური მედია და არასამთავრობოები შევიდნენ, რომ საკუთარი თვალით უყურებენ, რასაც ეს „გნიდები“ სჩადიან. თავად ჟურნალისტებიც აღმოჩნდნენ მათი მსხვერპლი, ესეც დიდი, ტაქტიკური შეცდომა იყო. დასავლურმა მედიამ დაინახა, რომ ისინი მართლაც სეპარატისტები არიან და არა მშვიდობის მოყვარული ხალხის ტრიბუნა.

— **საქართველოში ძალიან ნერვიულობენ, როცა ვიღაც აცხადებს, რომ ქართველმა ჯარისკაცმა სისასტიკე ჩაიდინა. თუ ამონებთ ყველა ასეთ განცხადებას?**

— ასეთი ინფორმაცია და განცხადება მეც მალიზიანებს, მაგრამ ყველაფერს სჭირდება დადასტურება, ფაქტი, სამხილი. თქმით შეიძლება ბევრი რამ თქვა. „ჟოლსტრიტ ჯორნალი“ ვერა ერთ-ერთი ოსის მონათხრობი ქართული სისასტიკის შესახებ, მაგრამ დადასტურებული არაფერი ჩანდა. ქართველმა თვითმხილველებმა, ექსპერტებმა კი მედიასა და საერთაშორისო საზოგადოებას ყველაფერი დასტურებით შესთავაზეს — ფოტოებით, ვიდეოკამერებით და ასე შემდეგ. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში დაგიჯერებენ, რომ მართალი ხარ.

— **თქვენც გადმოგვხსენებთ. შეეძლება გამოცემაში დაიბეჭდოს სტატია, სადაც სარკასტულად გახსენებენ და ამბობენ, რომ თქვენი შემწეობით ხდება არასწორი ინფორმაციის გავრცელება.**

— მე ვიცნობ მის რუსულ თარგმანს „რასია თუდეიდან“ და აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, თარგმანში ინტერპრეტაციაა. ბუნებრივია, ომის დღეებში მეც ვიყავი ემოციებში, მაგრამ არცერთი სიტყვა არ გასულა დასტურის გარეშე. მეტიც, კატეგორიულად მოვითხოვე ქართველი მეგობრებისგან იგივე.

— **სხვათა შორის, წარმატებით „იმუშავა“ „ჭორის მანქანაც“.**

— მართალია და ესეც შეცდომა იყო. ერთი პერიოდი, ჭორი ქმნიდა საინფორმაციო საბაბს, რაც დაუშვებელია. პირდაპირ გეტყვით, ოფიციალური თბილისი პირველი ორი დღე ავრცელებდა პრესრელიზებს, რომ ტანკები არის იქ, აქ, იბომბება ეს და ეს... არადა, ინფორმაციის ნაწილი არასწორი იყო. კატეგორიულად მოვითხოვე ამ სტრატეგიის შეცვლა და მხოლოდ დადასტურებული ინფორმაციის გავრცელება.

— **თუ დადასტურებული არ არის, ესეც უნდა დაწეროთ, რომ ინფორმაცია არის, მაგრამ ჯერ არ დასტურდება.**

— **ამბობთ, რომ მართავთ სიტუაციას, არადა, დასავლური მედიის დამოუკიდებელი ექსპერტების მხრიდან არაერთხელ მოვისმინეთ, რომ სააკაშვილის სიტყვები ქარიზმატულია და მასში უფრო რიტორიკა შეინიშნება, ვიდრე ინფორმაცია. მეტიც, იგივე ითქვა ბუშსა და სარკოზის მიერც, ხოლო პიკი გახლდათ შალსტუხის თემა. იყო თუ არა სწორი ეთერში გაშვება, რომ ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი ნერვიულობისგან შალსტუხს ლეჭავდა?**

— კარგით, შალსტუხის ლეჭვა ზოგადად, არ არის სწორი, მაგრამ ხდება ხოლმე. იმ დღეებში, სააკაშვილს საერთოდ არ ეძინა. ეს იყო სრულიად არანორმალური დღეები მისთვის. ისიც ადამიანი და ასეთ დროს, მსგავსი რამ შეიძლება მოხდეს.

— **კონკრეტულად სააკაშვილზე არ ვამახვილებ ყურადღებას. თქვენი, როგორც პროფესიონალის აზრი მაინტერესებს, ამის ჩვენება სწორი იყო?**

— ეს სააკაშვილს არ გადაუწყვეტია. სამწუხაროდ, აღმოჩნდა ისე, რომ ამ მომენტში კამერა ჩართული იყო. არადა, არ უნდა ყოფილიყო. იმ დროს, როცა პრეზიდენტი ბრიფინგს ატარებდა, ხშირად მის ტელეფონზე უსასტიკესი ინფორმაცია მოდიოდა, მან იცოდა, რომ ტანკები თბილისისკენ დაიძრა, რომ მის დაპატიმრებას აპირებდნენ, რომ თბილისში მოსვლა ქვეყნის ოკუპაციას ნიშნავდა, ამის გადატანა იოლი არ არის. ზოგადად, ბრიფინგების შემდეგ, კამერები ითიშება, მაგრამ იმ დროს, ოპერატორმა ეს არ გააკეთა. ასეთებიც ხდება — ომის დროს ყველა დეტალის გაკონტროლება შეუძლებელია. ამის გაშვება ჩვენი გადაწყვეტილება არ იყო. ეს იყო ოპერატორის გადაწყვეტილება. როგორ ფიქრობთ, „ბი ბი სი“ ამ კადრს დამალავდა? რა თქმა უნდა არა. უარესებიც ხდება. ხშირად, ძალიან გავლენიანი ადამიანები კარიერას კარგავენ ერთი სუბილური ნინადადების, ფრაზის, ან შესტის გამო, რომელიც შეიძლება შემთხვევით დააფიქსიროს კამერამ.

— **საკაშვილის იმიჯზე რომ არ ზრუნავდით, როგორი წარმოდგენა შეგექმნებოდათ ამ კადრის ნახვის შემდეგ?**

— რა გინდათ, ვთქვა? რა თქმა უნდა, ეს ნეგატიურია და არასდროს ვიტყვი, რომ შალსტუხის ლეჭვა კარგია, მაგრამ ადამიანი რობოტი არ არის. ეს იყო ერთადერთი ღამე, რომელიც მე პირადად, ბუნკერში გავატარე. თბილისისკენ ტანკები მოდიოდნენ და ეს ინტერვიუ ზუსტად მაშინ იწერებოდა. მგონი, ძალიან დიდ ყურადღებას უთმობთ ამ თემას. ვისაუბროთ იმაზე, როგორ ითანამშრომლა პრეზიდენტმა მედიასთან. კარგი იყო, რომ ძალიან „გახსნილი“ გახლავთ და ცუდია, რომ

ზოგადად, კლინტონივით საკმაოდ ბევრს ლაპარაკობს.

— **თავად რუსული მედიაც აღიარებს, რომ სააკაშვილი უფრო გახსნილია მედიასთან, რომ ქართველები უფრო თანამშრომლობენ. თქვენ არ შეგინიშნავთ რუსი ჟურნალისტების წყრომა ამაზე?**

— ეს ნათელია. გინახავთ მედევდევი პირდაპირ ეთერში? ეს შეცდომაა, საქმე ის არის, რომ სააკაშვილმა გაცილებით უკეთ იცის, რა სჭირდება მედიას.

— **უკაცრავად, დავამატებ, რა შეუძლია მედიას.**

— გეთანხმებით და განვავტობ, თუ რა პრობლემები აქვთ დასავლელ ჟურნალისტებს მოსკოვში: რუსები არ იძლევიან მობილური ტელეფონის ნომრებს, რაც ოპერატიულობას სასტიკად აფერხებს, არ იყენებენ ელექტრონულ ფოსტას, რომ შეხვედეთ რომელიმე ოფიციალური სტრუქტურის უფროსის მოადგილეს, ან რაღაცის თანაშემწეს, უნდა გავზავნო ფაქსი პრესსამსახურში, რომელსაც უფლება აქვს, სამი თვის შემდეგ გამოეხმაუროს. ეს ნორმალურია? რა თქმა უნდა, არა. შესაბამისად, ჟურნალისტებისთვის თბილისი არის სამოთხე, თბილისისთვის კი ძალიან კარგი მანსი, რადგან საქართველო მსოფლიომ ჯერ კიდევ არ იცის.

— **იცით ალბათ, რომ რუსებსაც ჰყავთ დაქირავებული დასავლური პიარკომპანია ამ საკითხების მართვისთვის, რატომ აქვთ მსგავსი პრობლემები?**

— დაქირავებული ჰყავთ და გაცილებით მეტს უხდიან, ვიდრე ჩვენ, მაგრამ განსხვავება ისაა, რომ რუსეთის ოფიციალური მათ ყურს არ უდგებს, რჩევა რჩევად რჩება. ჩემს შემთხვევაში, სამუშაო გაცილებით იოლია, ჩემს რჩევებსაც ითვალისწინებენ, თავადაც მშვენივრად იციან და სანახევროდ ის, რაც მე უნდა დავგეგმო, გაკეთებულიც აქვთ ხოლმე... ინფორმაციას ახლავს ორი რამ: ნონა და შინაარსი. ნონის თვალსაზრისით, ლავროვის განცხადება ყურადსაღებია, ხოლო შინაარსის თვალსაზრისით, უბრალოდ, აღარავის სჯერა მისი ერთი სიტყვისაც კი. მეტიც, ჟურნალისტები და ანალიტიკოსები მისი სიტყვების ციტირებაზეც კი არ ხარჯავენ დროს. ასეც ხდება, როდესაც ირღვევა პიარის „ოქროს წესი“ სიმართლისა და ტყუილის შესახებ.

— **ივანოვმა და ლავროვმა იციან ინგლისური, მაგრამ მაინც რუსულად საუბრობენ მედიასთან, ეს ღვარძლია, თუ სტრატეგია?**

— ამით ხაზგასმა უნდათ, რომ მიზა არ არის ქართველი პრეზიდენტი და რომ საქართველო არ არის საქართველო. რუსული მედია ენევა პროპაგანდას, რომ მიზა არის ამერიკელი პრეზიდენტი და ამიტომაც საუბრობს გამუდმებით ინგლისურად. რუსებმა კი ამ ე.წ. თეორიის საწინააღმდეგო კამპანია შემუშავეს და იმისთვის, რომ ამერიკანი ზაცია დააკნინონ, ინგლისურად საუბარზე უარს აცხადებენ. სასაცილოა, არა?

— **საკაშვილი ქართულისა და ინგლისურის გარდა, ფრანგულად და რუსულადაც კი საუბრობს ხოლმე პრესასთან. თქვენ, როგორც იმიჯმეიკერი, ეთანხმებით ამას?**

— ეს მისი არჩევანია. თუმცა ისეთი შემთხვევების დროს, როგორც გასულ დღეებში გადავიტანეთ, კომუნიკაციის თვალსაზრისით, ეს ძალიან მომგებიანია და შეგიძლია, შენს სასარგებლოდ მოაბრუნო ბევრი რამ.

— **სტრატეგიაში გათვლილი გაქვთ, რუსეთის ტყუილების ცირაჟირება მოხდეს?**

— ზოგადად, ასეთი სეგმენტი სტრატეგიაში მუდამ არსებობს, მაგრამ ამ შემთხვევაში, კრემლი ჩემი პიარგუნდის არაჩვეულებრივი წევრია. ყოველი მათი შეცდომა ჩემი წინადადებადგმული ნაბიჯია. შეცდომას შეცდომითვე ცვლიან და ეს ჩემს საქმეს გაცილებით ამარტივებს, ანუ რუსეთი, პიარის თვალსაზრისით, იოლად დასამარცხებელი მეტოქეა.







საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან ნამწვის სუნი გამოდის. 112-ზე არ დარეკოთ, ხანძარი არ არის. უფრო სინდისის დამწვრობას ჰგავს... თუმცა ბოლო ერთ თვეში ფედერაციაში იმდენი სისულელე მოხდა, სახანძრო კი არა, ამ ორგანიზაციას სასწრაფოდ სჭირდება სამედიცინო სამსახურის დახმარება და ძლიერმოქმედი დამამშვიდებელი მედიკამენტები, რათა ალგზნებული პაციენტები მალე მოიყვანოს გონს... ვერ გეტყვით, რამდენად ექვემდებარება მკურნალობას ის ისტერიული ფონი, რაც ახლა ფედერაციას და განსაკუთრებით მის აღმასკომს უტევს, მაგრამ იქაც ხომ ადამიანები არიან და, მოდი, ვცადოთ... არა?..

რეპორაჟი

ჯერ კიდევ ავგისტოს შუა რიცხვებიდან დაიწყო აყალმაყალი რეგიონებში. ლამის ერთხმად წამოსულმა წერილების წვიმამ დაბოძა სფფ-ის გენერალური სამდივნო — გვიყვარდა, გვიყვარს, გვიყვარებაო და, რევაზ არველაძეს მხარდაჭერა არჩევნების თარიღის დაწინაურებასთან ერთად გამოუცხადეს. ისე, რომ არველაძეს საკუთარი კანდიდატურაც კი არ შექონდა დარეგისტრირებული, შეხვედრა- პროგრამის გაცნობა-გასაუბრებლად არაფერს ვამბობთ. რა თქმა უნდა, დარღვევები რეგიონული ფედერაციების აბსოლუტურ უმრავლესობაში იყო, თუმცა განსაკუთრებით გურიაში „იყოჩაღა“. უფრო სწორად, გრფფ-ის პრეზიდენტმა კახა ბერალიძემ, რომელსაც გამგეობის წევრები უცაბედად გადააყენებდა და თავად ჩაუნერა დელეგატად არველაძეს უახლოესი მეგობარი გონა ტყეშელაშვილი, რომელიც საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელია.

იქით შვილიშვილების თვალზე ვერაფრით აუარა გვერდი იმერეთის რეგიონული ფედერაციის თავკაცმა ვალერი მანაგაძემ — არველაძისგან იმდენი სიკეთე მახსოვს, ხელი როგორ ვერაო და მანაც ასაკობრივი ნაკრების მწვრთნელი ოთარ კორღალიძე „გაუგზავნა“ დელეგატად.

ყველაზე გვიან რაჭველებმა გაიღვიძეს — დათვალეს, დათვალეს და აღმოაჩინეს, რომ დელეგატის არჩევას შვიდიდან ოთხი წევრი არ დასწრებია. ფედერაციის პრეზიდენტი გია შარაბიძე ირწმუნება, ყველაფერი კანონის დაცვით გააკეთეთო, მაგრამ აბა, როგორ გინდა აუხსნა, რომ 4 წევრის არყოფნა კვირის არარსებობას ნიშნავს?!

შიდა ისტორია

ფედერაციაში შიდადაძაბულობა დღითიდღე მატულობს. ჯერ იყო და, დელეგატების შეცვლას მიჰყო ხელი რევაზ არველაძემ, როცა მისი ერთგული თანამოაზრე შოთა ბაქრაძე უცაბედად ირაკლი ნაკაიძით ჩაანაცვლა, ახლა კი ფედერაციის იურისტ კესო ჩხიკვაძესაც შეუტია.

ჩხიკვაძე ერთ-ერთი მათგანი იყო, დღენიადაგ ფედერაციის ინტერესებს რომ იცავდა — ზოგჯერ საკმაოდ უცნაური გადაწყვეტილებების „გაპრავებთათა“ გამოირჩეოდა, თუმცა ბოლო პერიოდში ის ფედერაციას იშვიათად სტუმრობს. ეს განსაკუთრებით მას შემდეგ იგრძნობა, რაც ჩხიკვაძემ აღმასკომს შემოინახა ნიშნები გურიის დელეგატის დამტკიცება არ მოუწონა და საჯაროდ გააკრიტიკა. ჯერ გარშემოყვითა კრიტიკაზე როგორ ღმუიან ფედერაციის თანამშრომლები და, ამას საკუთარი გუნდის წევრისგან მოისმენდნენ? ნუ, მოსმენით მოისმინეს, თუმცა გამოსავალიც მალევე ნახეს — ჭაჭაჭა ვაძის გამზორი გადაკვეთეს და კალათბურთის ფედერაციის იურისტი გიორგი ანთაძე გადმოიპატიჟეს!

არ ვიცი, სამედიცინო ენაზე ამას ზუსტად რა ჰქვია, თუმცა უცხო სიტყვათა ლექსიკონი ასე წერს: „გაგონია — სიკვდილის-წინა მდგომარეობა ორგანიზმისა; სულთმობრძავის მდგომარეობა (ჭაბაშვილი მიხეილ, უცხო სიტყვათა ლექსიკონი. 1989)“.

სრული ისტორია ფეხბურთის ფედერაციაში



უსაპარტოო ისტორია

კესო ჩხიკვაძე, აბა, ვის უკვირს, როცა აღმასკომი ტრიბუნალის მედიატორ ზურაბ ბინაძესაც გადასწავდა. იურისტის დარად, ტრიბუნალის გადაწყვეტილებაც კი გამამტყუნებელი გამოდგა ფედერაციისთვის და გურიის დელეგატი გააუქმა, მაგრამ... ნურას უკაცრავად! დელეგატი აღდგენილია, ბინაძე გათავისუფლებული. ესეც თქვენ!

თან მთავარი არ დავივიწყოთ: ფედერაციისვე წესდებით, ტრიბუნალის გადაწყვეტილება არ საჩივრდება!

პ.ს. არც ამ დაავადების სახელწოდება ვიცით, თუმცა აღწერას ნამდვილად ვერ დავამადლით: „ორგანიზმის რეაქციული და შეგუებითი ფუნქციების უკანასკნელი გამოვლენა. ნიშნები: გონების დაკარგვა, გრძნობის ორგანოთა მოქმედების შეწყვეტა, გაძნელებული სუნთქვა... შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე წუთს ან საათს. დროულად მიღებულმა ზომებმა შეიძლება ავადმყოფი გადაარჩინოს“.

მთავარი ისტორია

ჯერ გირჩევთ, მეორედაც გადავიკითხოთ პოსტ-სკრიპტში, განსაკუთრებით მისი ბოლო ნაწილი: „დროულად მიღებულმა ზომებმა შეიძლება ავადმყოფი გადაარჩინოს“.

ანუ იმედი არის! მაგრამ ვაი ამ იმედს...

დღევანდელი აღმასკომის შემხედვარე იმედზე ლაპარაკი ძალიან ძნელია, მით უმეტეს, რომ პატივცემულმა აღმასკომელებმა (ან მამუკა კვარაცხელიას ვერსიით — დამასკომელებმა) სიამოვნება გაიხანგრძლივეს და 3 ოქტომბერს მხოლოდ საპრეზიდენტო არჩევნები დანიშნეს. ჰმ, ავადმყოფი, გავიძახით და, ასეთ ჭკვიანურ გადაწყვეტილებას ჯანმრთელი ორგანო მიიღებდა? თუ საშუალებაა, რატომ არ უნდა იჯდე თბილ სკამზე წლობით? ერთადერთი, ვინც ამაში ხელს შეგიშლის, საკუთარი თავია, ჰოდა, რატომ? მერე რა, რომ წესდებაში სხვაინარად წერია... ვის არ დაურღვევია წესდება? მერე რა, რომ საშეჯიბრო კომიტეტის უფროსი დიმიტრი ბოკერია

დაუფარავად აცხადებს, წლებია, ასე ვაკეთებდით და რალა ახლა გაგიკვირდათ?

საკონსტრუქციო ისტორია

დელეგატი — რა მარტივი სიტყვაა და რა რთული მისია აკისრია. მისია ქართული ფეხბურთის გადარჩენისა. დიახ, სწორედ ასე აფასებს ქართველი გულშემოტკივარი და ძალიან საინტერესოა, როგორ განწყობაზე იქნებიან ისინი 3 ოქტომბრის საღამოს, როცა არჩევნების შედეგები გაცხადდება. იქამდე კი, დელეგატების ნაწილს კანდიდატა პროგრამებში რომ აქვთ „თავი ჩარგული“ და პლუს-მინუსებს ზომავენ, ფედერაციის თანამშრომელი-დელეგატები დაუღალავად შრომობენ — ხან აღმასკომს ესწრებიან, ხან ტრიბუნალს, ხან იურისტობენ, ხან ადვოკატობენ, ხან... აი, ასე დღე და ღამე უნდა გაათენო, როცა დელეგატი ხარ, აბა როგორ? იქნებ და, შენ რომ სახლში ნახვიდე, აღმასკომი ჭკუაზე შეიშალოს და „არას-ნორი გადაწყვეტილება“ მიიღოს, ან ტრიბუნალს წამოსცდეს სიმართლე, ხომ უნდა აკონტროლო? ჰოდა, აკონტროლებენ...

საიღუმლო ისტორია

ჯერ აღმასკომი რა არის და მერე მის გადაწყვეტილებებს რომ დამალავ, მაგრამ ნამეტანი ინფორმაციული ვაკუუმის შექმნას კი ცდილობენ ფედერაციაში. შეიკრიბება აღმასკომი, მიიღებს 10 სულელურ გადაწყვეტილებას და იქიდან ერთს გამოგიცხადებენ. ცხრაზე კი ყველა დუმს... ასე ჩუმად მოხსნეს ტრიბუნალის მედიატორი, ასე ჩუმად მოიშორეს იურისტი, ასე ჩუმად შეცვალეს დელეგატები, ასე ჩუმად დანიშნეს ახალ გენერალურ მდივნად დიმიტრი ბოკერია... აჰ, არ იცოდით?

მაგრამ... გასაგებია მათი პოზიცია... ხომ გაგიგიათ, მომავალს აღსარების სურვილი უჩნდება და ემანდ, იქნებ აღმასკომის წევრებს თავიანთი „საქმენი საგმირონის“ მართლა რცხვენიათ და მალავენ?! დავიჯეროთ?..

for.ge

ვერსიანიუსი


შსს-მ თაღლითობის ფაქტი განხილავს



შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს მესამე განყოფილების თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1979 წელს დაბადებული იოსებ კ. თაღლითობის ბრალდებით დააკავეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებული, რომელიც ერთ-ერთ კომპანიაში დისკრიტივტორად მუშაობდა, თაღლითურად დაეუფლა ამავე კომპანიის კუთვნილ, 450 ყუთ საბავშვო ჰიგიენურ საფენს, რითაც აღნიშნულ კომპანიას 28 800 ლარის ზარალი მიყენა. ასევე დადგინდა, რომ ბრალდებულმა თაღლითურად დაუფლებული პროდუქციის ნაწილი გაყიდა. სამართალდამცველებმა ფული და მითვისებული საქონელი ნივთმტკიცებდა ამოიღეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება დიდი ოდენობით თაღლითობის და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით).

„ვერსიანიუსი“

შსს-მ უკანონო სხვის სასარგებლო იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო




სსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს ძეხნის სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1978 წელს დაბადებული ვიქტორ რ. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა-შენახვის ბრალდებით თბილისში, პეკინის ქუჩაზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა, ვიქტორ რ-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, „მაკაროვის“ სისტემის, არარეგისტრირებული პისტოლეტი და 7 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლ-საწინააღმდეგო შექმნა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 236-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

„ვერსიანიუსი“

1. თბილისის ერთ-ერთი უბანი									2. რქოვანი ფირფიტა ადამიანის თითის ბოლოზე												
3. პარტია ჩოგბურთის თამაშში		4. ლია ფერის სპორტული პიჯაკი		5. ნასატებიანი გამოცანა								6. კოსმოსური ხომალდი	7. მონასტერი ისტორიულ ტაოში	8. თავდაუწყების მდინარე ბერძნულ მითოლოგიაში							
9. პატარა მტაცებელი ცხოველი		10. პერაკლეს ტყუპისცალი ძმა		11. „კავკასიური ცარცის წრის“ ავტორი								12. მხარე აღმოსავლეთ საქართველოში	13. რკინისა და ნიკელის შენადნობი	14. (ძვ) სიციხის სადგომი წაბალი							
	15. პატარა რესტორანი													16. პიტალო კლდე							
				17. აღმოსავლური სიმებიანი საკრავი										18. პარაზიტი მწერი, მგბენარი							
	19. მობილური ტელეფონების მარკა			20. ტბა ჩრდილოეთ ამერიკაში										21. იგივე, რაც თევზი	22. ბულგარული არაუი	23. რომის პაპის გვირგვინი					
				24. დაბეგვილი სირიციის თხელი კატლეტი		25. ბერძენი, რომელმაც არტემიდეს ტაძარი დაწვა															
	26. შოლომ-ალექსეის მერძევე	27. კოლომბის ერთ-ერთი კარაველა						28. დაწნული და ჩამოსაკიდი საწოლი	29. ნასატის ასლი	30. ანწილი, კაპასი									31. მოკრივე – ტაისინი		
					32. კოლხეთის მითური მეფე	33. დეკორატიული ძაღლი					34. იგივე, რაც ტოტი, რტო										
35. დღის მომდევნო დღეს ანუ ...	36. ისტ. წყაროების მეცნიერული გამოცემა							37. ქალაქი რუსეთში, მდინარე დონზე	38. სასულეში დასაფლავებული აზიაში				39. ისლანდიის დედაქალაქი	40. დირიჟის კოსტიუმი							
				41. რემბრანდტის ცნობილი ნახატი	42. მინუმენტური სამარხი ნაგებობა	43. სპორტული ცურვის სტილი				44. არაბული ფლეტა											
45. დეკორატიული მიზნით დაფსილი ბაღაძე	46. 9 აპრილის ჯალათი გენერალი							47. უკუზო აქლები	48. ქიმიური ელემენტი		49. კომპიუტერული ინფორმაციის ერთეული	50. შხის ძველგვიანდელი ლმერთი	51. ცხრის ჯოჯი								
									52. წყალქვეშა ნავის მოძველებული სახელწოდება												
	53. სასულეში დასაფლავებული ევროპაში					54. ევროკავშირის ვალუტა	55. საზაფხულო სამოვარი				56. ოფიციალური დოკუმენტი								57. თოვლის დედოფლის ტყვე ბიჭუნა		
									58. ნიკოლოზ გოგოლის მისტიკური მოთხრობა					59. ამერიკელი მსახიობი დაიან ...	60. ზიმბაბუეს დედაქალაქი						
	61. შთაგუარამოს ქედზე							62. უდაბნო აზიაში												64. ქიანის „აბა“	
											63. წყლის პიტნა									65. სამელოვარი ფერი	
				66. აიბოლტის მტერი	67. ჯოჯოს ეთის ცეცხლი						68. არგენტინელი ფეხბურთელი	69. ტირიფის ერთ-ერთი სახეობა									
	70. კილური „მარტივად“	71. მუსიკალ. გამის ნოტი							72. „ღვთაბერივი კომედის“ ავტორი	73. გადამწერი მორბენალი ფრინველი										74. ყანის ფორმის სასმისი ძვ. საბერძ.	
75. სიას საჭო აპონიაში					76. ოტელის ეროვნება						77. ელგუჯას მიგუნური									78. დარდმან-დანცის სახელი	
						79. ხის ქოჩორი, ვარჯი				80. მიმართვა ფრანგი მეფისადმი	81. რუსი მსახიობი ... რანესკაია										
				82. ციხე, სადაც აბატი ფარია იჯდა				83. ბილიარდის სათამაშო ჯოხი	84. მარტივი, უბრალო					85. თევზის ძვლი							87. შურისმაძიებელი ქალღმერთი
																				86. მტნარი წყლის დელფინი	



# პოლიციელებისთვის განათლება სავალდებულოა

ცოტა ხნის ერთ-ერთი ესპანური გამოცემა იტყობინებოდა, რომ მექსიკის დედაქალაქის პოლიციის ხელმძღვანელობამ თანამშრომლებს თვეში ერთი წიგნის წაკითხვა დაავალა. ვინც უფროსობის ბრძანებას არ შეასრულებს, პრობლემები შეექმნება და დანიშნულებაზე არც უნდა იოცნებოს. აღსანიშნავია, რომ მეხიკოში დანაშაულის დონე, მოფლიოს სხვა ქალაქებთან შედარებით, მაღალია, აქაურ პოლიციას კი კორუმპირებულად, არაკომპეტენტურად და მოუქნელად მიიჩნევენ. მეხიკოს მერისა და პოლიციის მაღალჩინოსნების ამ გადაწყვეტილებით, „ნიგინი“ სამართალდამცავები მოვალეობას უკეთ შეასრულებენ, ხოლო იმ წიგნებს შორის, რომელთა წაკითხვასაც ავალდებულდებენ, სერვანტესის „დონ კიხოტი“, პასას „მარტოხობის ლაბირინთი“ და სენტ-ეგზიუპერის „პატარა პრინცი“აა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ დავალების შესრულება ბევრ პოლიციელს გაუჭირდება, რადგან მათი უმრავლესობა გაუნათლებელია — ყოველ მეხუთეს სკოლაშიც კი არ უვლია, თუმცა მეხიკოს მერს არც ეს მიაჩნია გადაულახავ პრობლემად: მან უკვე გამოსცა ბრძანება, რომელიც ნერა-კითხვის უცოდინარ სამართალდამცავებს სპეციალური გაკვეთილებით უზრუნველყოფს.



ა ღ ვ ი ლ ი

ს ტ ა ნ დ ა რ ტ ი

რ თ უ ლ ი

ე ქ ს ჰ ე რ ტ ი

	3	4	2		5			
					7			
1				4				9
8	9			3	2			
4		3				1		5
			6	5			9	8
6				8				7
			4					
			3		9	6	4	

2	9	1	3					5
	7		9			4	3	1
				6				
	2	9				5		
	5						6	
		7				3	4	
				2				
7	1	5			6			2
6					9	8	1	4

8	3		1		2			5
1				9		7		
	2		7					8
	6			4	1			
		4	8			2		
7			8		2			
	1		5					3
5		2		7		6	1	

			5	6			2	
	3		4		9	8		
1		7	3			5		
	6						5	3
1								2
4	7						8	
		1		8	4		7	
		8	9		1		3	
4		2	6					

ოქროს ფანტელი დედოფლისთვის

დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედი წელს ყველაზე სტაჟიანი მონარქი გახდა ქვეყნის ისტორიაში. ამ მოვლენასთან დაკავშირებით, კომპანია Kellogg's-მა საუზმისთვის შერჩის ფანტელი გამოუშვა, რომელიც საკვებად ვარგის ოქროს, ბრილიანტებსა და მარგალიტებს შეიცავს. ამ ნარევის შემადგენლობაშია ასევე დედოფლის საყვარელი კაკალი — მაკადამია. შერჩის ფანტელი შეზღუდული რაოდენობით გამოვიდა და მისი დიდი ნაწილი საჩუქრად გადაეცა რეკორდსმენ მონარქს. ხოლო მათ, ვისაც ძალიან უნდა ამ „ოქროს ფანტის“ გასინჯვა, მისი შეკვეთა მხოლოდ ერთ ადგილას — მანჩესტერში, kafe Black Milk Cereal Café-ში შეუძლიათ, ერთი ულუფის ღირებულება კი 6,30 გირვანჯა სტერლინგია.



მზე საქმლის ნაცვლად — ახალი „დიეტა“ ჰონგკონგიდან

მზით ტკობა — ახალი უცნაური ტენდენციაა წონაში დასაკლებად, რომელსაც ჰონგკონგელი მანდილოსნები აქტიურად იყენებენ. ისინი მზეს უყურებენ იმედით, რომ ზედმეტ კილოგრამებს ჯადოსნური მეთოდით მოიშორებენ. თერაპია, რომელიც სავარაუდოდ, ევროპული წარმოშობისაა, იმაში მდგომარეობს, რომ მზის ენერჯია საკმარისი იქნება რეალური საკვების, კალორიების შესაცვლელად. გოგონები, რომელთაც ეს უცნაური დიეტა აირჩიეს, იმედოვნებენ, რომ თუ მზეს დიდხანს უყურებენ, ადვილად დაიკლებენ წონაში, ზოგიერთი კი იმასაც ამტკიცებს, რომ ეს თერაპია ზოგადად, ჯანმრთელობისთვისაა სასარგებლო.



წინა ნომერი გასული სკანოქრისა და სულოქუს პასუხები

4	5	6	7	8	3	2	1	9
3	1	2	9	5	6	7	4	8
9	7	8	4	2	1	6	5	3
8	3	1	5	9	7	4	2	6
2	9	5	6	4	8	3	7	1
7	6	4	3	1	2	9	8	5
1	4	9	2	6	5	8	3	7
6	8	7	1	3	4	5	9	2
5	2	3	8	7	9	1	6	4

- მე-10 გვერდი: 1. ვარდკაჭკაჭა; 2. ასიგნაცია; 3. ვერე; 4. რეტი; 5. კოიოტი; 6. ჭუჭული; 7. საბოტაჟი; 8. განიმედი; 9. აურა; 10. იუტა; 11. შკივი; 12. პლატონი; 13. ანორაკი; 14. ჭვიშტარი; 15. ბანკროტი; 16. ირემი; 17. ფრიდონი; 18. ეკლესია; 19. კულონი; 20. ოდეკოლონი; 21. აცე; 22. კურარე; 23. ლიტა; 24. ტომი; 25. ვატერპოლო; 26. ოდა; 27. სოპრანო; 28. ლია; 29. ენდემი; 30. ხახვი; 31. ჟუდეცი; 32. ოკა; 33. პიანო; 34. ხორბალი; 35. ხეფრენი; 36. „იდიოტი“; 37. ინგა; 38. უმა; 39. არალი; 40. იტილი; 41. რაფსოდი; 42. უნაი; 43. ანუი; 44. ბარაკონი; 45. სოს; 46. მტილი; 47. ლიტი; 48. ივ; 49. ლიბერო; 50. ტაო; 51. არგო; 52. არიმანი; 53. კვიცი; 54. რეა; 55. სერა; 56. ივლისი; 57. კორა; 58. ულანი; 59. ნიუ; 60. ბილბაო; 61. ლობი; 62. კოკი; 63. ოლე.

მკურნალობა სხელი ქვიშის აბაზანებით



წელიწადის ყველაზე ცხელ პერიოდში — ივლის-აგვისტოში, როცა ჩრდილოეთ კი ტემპერატურა თითქმის 40 გრადუსს აღწევს, ხალხი ქალაქ სივას ოაზისში მიდის, რათა ქვიშის 15-წუთიანი აბაზანები მიიღოს. ადგილობრივი მედიკოსები და ყოფილი პაციენტებიც ამტკიცებენ, რომ სამიდან ხუთ დღემდე რეგულარულად ამგვარი მკურნალობა ადამიანებს ავინყებს ართრიტსა და რევმატიზმს, კურნავს უნაყოფობას და იმპოტენციას, პროცედურები შუადღეს ტარდება, როცა მზე ზენიტშია, ჰაერი მაქსიმალურად ცხელი, ქვიშა კი — გავარვარებული. პაციენტებს დამხმარეები შიშვლად ფლობენ ქვიშაში ისე, რომ მხოლოდ თავი უჩანთ. 10-15 წუთის შემდეგ კი სწრაფად გადაჰყავთ კარავში, რომელიც ერთგვარი საუნის როლს ასრულებს. მკურნალობის დღეებში არ შეიძლება შხაპის მიღება ან სხეულის გაგრილება ცივი ჰაერით. პაციენტები მხოლოდ ცხელ სასმელსა და საკვებს მიირთმევენ. ამგვარი მკურნალობა 38-დან 51 დოლარამდე ღირს და ფასში შედის კვებაც.

**ვერსია**  
 მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.  
 e-mail: versiaprinti@yahoo.com      www.versia.ge  
 UDC(უაპ)070.48.32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი  
 მაია ფურცელაძე (599) 62-88-77  
 პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი  
 მმლიაზგუში: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,  
 გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე.  
 სტილისტი — ნინო ებანოძე  
 დიზაინერი — გიორგი ლომსაძე  
 ტელ: +995 322942399



დაცულია საავტორო უფლებები.  
 რედაქციაში შემოსული  
 მასალები უკან არ ბრუნდება.  
 სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა  
 და ინფორმაციის სიზუსტეზე  
 პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის  
 შემთხვევაში დაგვიკავშირდით  
 14 დღის განმავლობაში.

# დასვის პოლიცია მოხმარებულს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს



**125**

დასვის პოლიცია

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.



**GPS**

GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარისა და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- სანავის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

**GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.**

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასოა).

SECURITY POLICE 125
 SECURITY POLICE 125  
[www.125.ge](http://www.125.ge)



## აქცია

მალე, თბილისის სხვადასხვა უბანში, „მოსიარულე ბიბლიოთეკას“ ხშირად ნააწყდებით — მსგავსი აქცია პროექტის, „ნიგნი ყველა სოფელს“ ფარგლებში დაიწყო. ნიგნებით მოხატულმა და ნიგნებით დახუნძულულმა ავტობუსმა, სტარტი 23 სექტემბერს, თამარაშვილის ქუჩაზე მდებარე „ვისოლის“ ავტოგასამართი სადგურიდან აიღო და პირველად გლდანისკენ გაემართა. ჯერ გლდანის მკვიდრებს მიეცათ საშუალება, ნიგნები „მოსიარულე ბიბლიოთეკაში“ ჩაებარებინათ, რომელიც შემდგომში, მათ საქართველოს სხვადასხვა სოფლების ბიბლიოთეკებს გადასცემს. შეგროვილი ნიგნები ამჯერად ფშავ-ხევსურეთსა და სამცხე-ჯავახეთში მდებარე ბიბლიოთეკებს უნდა ჩაუტანონ.

მსგავსი აქცია იმიტომ დაიწყო, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო, მოქალაქეები ვერ ახერხებდნენ ნიგნების დანიშნულების ადგილზე მიტანას. იმიტომ გადაწყდა, მათ, ვისაც სურვილი აქვს, სოფლების ბიბლიოთეკებისთვის ნიგნები გაიღოს, „მოსიარულე ბიბლიოთეკაში“ პირდაპირ უბანში, სახლთან მიაკითხოს.

23 სექტემბერსვე, თამარაშვილის ქუჩაზე მდებარე „ვისოლის“ ავტოგასამართ სადგურზე მისული ყოველი მომხმარებლის სახელზე „ვისოლმა“ თითო ლარი გაიღო ახალი ნიგნების შესაძენად მათთვის, ვისთვისაც ის ხელმოწვევდომელია.

„ვისოლ ჯგუფის“ გენერალური დირექტორის, **ვასილ კორაძის** განმარტებით, მსგავსი აქცია „ვისოლი“ ყოველთვის სიამოვნებით მონაწილეობს: „ვისოლ ჯგუფი“ აქტიურად ჩართული ასეთ საქმეში. ჩვენ მხარს ვუჭერთ პროექტს „ნიგნი ყველა სოფელს“. თამარაშვილის ქუჩაზე მდებარე ავტოგასამართ სადგურზე, კომპანია, ყველა მოსულ მომხმარებელზე გაიღო ერთი ლარი, რომელიც ნიგნების შეძენას მოხმარდება. ეს ნიგნები კი რაიონებში ჩავა. ასევე სასიამოვნო ფაქტია, რომ 100-მდე ბიბლიოთეკაში მოხვდა შეგროვილი ნიგნები, რაც გვაძლევს იმის აღნიშვნის საშუალებას, რომ პროექტი კარგად ხორციელდება“.

„ნიგნი ყველა სოფელს“ — არასამთავრობო, სახელმწიფო, საპატრიარქოს, ბიზნესსექტორის ერთიანი ძალისხმევით, ორგანიზაცია „სტუდენტური ერთიანობისა“ და ახალგაზრდული მოძრაობა „დავითიანის“ ორგანიზებით ხორციელდება. პროექტი სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის“ საგრანტო კონკურსის გამარჯვებულია. იგი „ვისოლ ჯგუფის“, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის, „პალიტრა L“-ის, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის, ასევე ქველმოქმედი საზოგადოების მხარდაჭერით მიმდინარეობს.

პროექტის ფარგლებში ნიგნები თბილისის მასშტაბით გროვდება. სპეციალური ყუთები განთავსებულია „ვისოლის“ ავტოგასამართ სადგურებზე, სუპერმარკეტების ქსელ „სმარტის“, ამერიკული „ვენდის“ და „დანქინ დონატის“ რესტორნებში. ასევე ყუთები განთავსებულია შემდეგ ტაძრებში: წმინდა სამების საკათედრო ტაძარი, ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის

## „მოსიარულე ბიბლიოთეკა“ პროექტის „ნიგნი ყველა სოფელს“ ფარგლებში ქალაქის აქციას იწყებს

**„ვისოლმა“ მალაღმთიანი სოფლების ბიბლიოთეკებისთვის ნიგნების შესაძენად, თამარაშვილის ქუჩაზე მდებარე ავტოგასამართ სადგურზე მისული ყოველი მომხმარებლის სახელზე თითო ლარი გაიღო**



ტაძარი, დიდუბის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი. სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის ხელმძღვანელის **ირაკლი შორაშოლიანის** შეფასებით, პროექტი წარმატებული იმიტომაცაა, რომ მასში უამრავი ადამიანი ჩართულია: „ეს არის კოალიციური პროექტი, რომელშიც ჩართულია სამთავრობო, არასამთავრობო და ბიზნესსექტორის წარმომადგენლები. რეგიონების ნიგნების მომარაგება ძალიან მნიშვნელოვანია. ამჯერად ნიგნები თბილისში გროვდება და შემდეგ მალაღმთიანი რეგიონების ბიბლიოთეკებს მივაწვდი“.

„სტუდენტური ერთიანობის“ თავმჯდომარის ბექა ხაჭომიას ინფორმაციით, მოსახლეობა ძალიან აქტიურებს და ნიგნების ყუთები, ფაქტობრივად, მთლიანად ივსება: „პროექტი გრძელდება. ამჯერად ნიგნებს ჩავუტანთ ფშავ-ხევსურეთსა და სამცხე-ჯავახეთს. გვინდა, ნიგნების მაქსიმალური რაოდენობა შევაგროვოთ. მინდა ხალხს მოვუწოდოთ აქტიურობისაკენ. მიიტანონ სპეციალურად განთავსებულ ადგილებზე ნიგნები და პირობას ვაძლევთ, რომ მათ აუცილებლად ჩავიტანთ დანიშნულების ადგილზე“.

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის რედაქტორის, **ნიკო კაპაბაძის** განმარტებით კი: „გამომცემლობა პროექტში „ნიგნი ყველა სოფელს“ უკვე 2 წელიწადია აქტიურად მონაწილეობს, რადგან მიგვაჩნია, რომ აუცილებელია ნიგნები ხელმისაწვდომი იყოს მალაღმთიანი სოფლების მოსახლეობისთვისაც. ვცდილობთ ახალი, საინტერესო გამოცემები გაუფრავნოთ ბიბლიოთეკებს და ამ პროექტში, მომავალშიც, აუცილებლად სიამოვნებით ჩავერთვებით“.

„მოსიარულე ბიბლიოთეკა“ თბილისის მასშტაბით ერთი კვირის განმავლობაში გადაადგილდება და ნებისმიერი რაოდენობის ნიგნს მიიღებს მსურველებისგან. ქალაქის აქცია ხელს შეუწყობს მოსახლეობის მეტად ინფორმირებას და ჩართვას ნიგნის და ნიგნიერების პოპულარიზაციის საკითხში.

„ნიგნი ყველა სოფელს“ გრძელვადიანი პროექტია და მალაღმთიანი სოფლების მნიერი სასკოლო ბიბლიოთეკების ნიგნის ფონდის გამდიდრებას ისახავს მიზნად. მოსახლეობის აქტიურობიდან გამომდინარე, პროექტი სხვა რეგიონების ბიბლიოთეკებსაც მოამარაგებს და მომავალშიც გაგრძელდება.

ნინო ლურსმანაშვილი